# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## ,,საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი ,,საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 13 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

**გიორგი თარგამაძე** – საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

**დავით კირკიტაძე** – საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

**ირაკლი ოქრუაშვილი** – საქართველოს თავდაცვის მინისტრი;

**მამუკა კუდავა** – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;

**ლევან ბეჟაშვილი** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

**გიორგი ბოკერია** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

**ნინო კალანდაძე** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

**ნიკოლოზ გვარამია** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი;

**ზურაბ დეკანოიძე** – საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე;

**ლალი ფაფიაშვილი** – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

**დავით ბაზღაძე** – საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი;

**გიორგი ცაგარეიშვილი** – საქართველოს პარლამენტის ფრაქცია ,,მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;

**კახა კუკავა** – საქართველოს პარლამენტის ფრაქცია ,,დემოკრატიული ფრონტის“ მდივანი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის**
**თავმჯდომარე ნ. ბურჯანაძე**

**თბილისი,**
**2006 წლის 11 მაისი.**
**№3016-Iს**